უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

რუსული ენა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24.04.2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი	ირინა
გვარი	ლობჟანიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	რუსული ენა და ლიტერატურა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0231 ენის დაუფლება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	კორპუსი № 1, თამარ მეფის ქ. №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №179186, 15.02.2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	13.02.2023
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	13.02.2024
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	13.02.2030

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კრითიკული ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამაში გაიწეროს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

2. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლება ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში, ან რომელიმე არსებული კურსის გაძლიერებით.
3. სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია; ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა.
5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და კვლევითი უნარ-ჩვევების შეფასებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ნაშრომის სხვა ტექნიკურ მხარეებზე.
6. მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარეაქტორებთან კვლევას წარმართავდა არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი ეთოდოლოგიის საფუძველზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოადგინა 2024 წლის 15 თებერვალს. საბჭოს გადაწყვეტილებით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 13 თებერვალი. ანგარიშს ერთვის რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების შემდეგი სია: ინგა აბრამიძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი; ინგა კიკვიძე – სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმღვანელი, პროფესორი; ვერა ოცხელი – სამაგისტრო პროგრამის „რუსული ენა და ლიტერატურა“ ხელმძღვანელი, პროფესორი; ია ზუმბულიძე – სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; მზია ცერცვაძე – სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ნადეჟდა ქაჯაია – სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ანა ჩიკვაიძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. აღნიშნულმა ჯგუფმა იზრუნა 2023 სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის უშუალო ჩართულობით საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. ამასთან დაკავშირებით მოახდინეს რეკომენდაციების შესწავლა, დასახეს და შეასრულეს შესაბამისი აქტივობები და მოამზადეს ანგარიში.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია პროგრამების ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გაუზიაროს სხვა პროგრამის პერსონალს გამოცდილება პროგრამის სწავლის შედეგების

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

ფორმულირების და შეფასების მიდგომების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ თუ რომელიმე პროგრამას (ამჯერად ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამას) ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ამა თუ იმ უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილებით/ექსპერტიზით. ბუნებრივია, იგულისხმება შედეგებსა და მათ შეფასებაზე ტექნიკური მუშაობა და გათვალისწინებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკა;

2. სასურველია მესამე მიზნის ფორმულირების დაზუსტება: ნაცვლად „ჩამოუყალიბოს რუსული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის, რუსულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი“ – „გააღრმავოს“, ვინაიდან ჩამოთვლილი უნარების ძირითადი ნაწილი ყალიბდება „რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის დონეზე;

3. რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად);

4. სასურველია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სათაური არ იმეორებდეს საბაკალავრო პროგრამის საგნის სათაურებს, როგორც ამას აქვს ადგილი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში (რუსული ენა 1, რუსული ენა 2);

5. რეკომენდებულია პროგრამის თვით-შეფასების ჯგუფი და ზოგადად, პროგრამაში ჩართული პირები საფუძვლიანად იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, გეგმას. საჭიროა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და მსჯელობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურების შესახებ;

6. სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის გრაფიკული და მატრიცული მონაცემებს თან დაერთოს ანალიზური განმარტებები დასკვნის სახით, რათა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა თანმიმდევრულად გაითვალისწინონ ყველა ის მოთხოვნა, რაც გაუმჯობესებს კურიკულუმებს;

7. სასურველია კვლევის შედეგების პირველადი ინტერპრეტაცია განხორციელდეს ინსტიტუციურად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად გააზრებისა და ჰოლისტურად პროგრამების კონცეპტუალური განვითარების მიზნით;

8. სასურველია გაფართოვდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წრე, რომელიც ხარისხის ინსტიტუციური კულტურის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩართული იქნება საგანმანთლებლო სიხლეების გაცნობისა და შესწავლის პროცესში;

9. სასურველია აკრედიტაციის დასრულების შემდგომ გაანალიზდეს გარე შეფასების შედეგები, გადაიხედოს და მომზადდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საუნივერსიტეტოს პროცედურები კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად;

10. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კლასტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოადგინა 2024 წლის 15 თებერვალს. საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2024 წლის 13 თებერვალი. ანგარიშს ერთვის რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების შემდეგი სია: ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი; ინგა კიკვიძე - სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმღვანელი, პროფესორი; ვერა ოცხელი - სამაგისტრო პროგრამის „რუსული ენა და ლიტერატურა“ ხელმძღვანელი, პროფესორი; ია ზუმბულიძე - სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; მზია ცერცვაძე - სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ნადეჟდა ქაჯაია - სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ანა ჩიკვაიძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ–პროფესორი. აღნიშნულმა ჯგუფმა იზრუნა 2023 სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის უშუალო ჩართულობით საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესწავლაზე. ამასთან დაკავშირებით მოახდინეს რჩევების შესწავლა, დასახეს და შეასრულეს შესაბამისი აქტივობები და მოამზადეს ანგარიში.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.3 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კრითიკული ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამაში გაიწეროს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ.** თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დეტალურად გაიწერა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რაც მტკიცდება „სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ სპეციალურად შემუშავებული დოკუმენტით, ხოლო ნიშნულების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე. მასალის შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ მეთოდო-ლოგიაში წარმოდგენილი ინფორმაციით იმისათვის, რომ მოხდეს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა უნდა „შეიქმნას კურიკულუმის რუკა, რომელიც გამოისახება ცხრილის სახით, მასში უნდა იყოს შეტანილი პროგრამის სწავლის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები. ცხრილში აღნიშნულია რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარებას სამი პროგრესული დონით - I–გაცნობა; P-გაღრმავება; M-განმტკიცება“. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რუკა არ ერთვის არც პროგრამის კურიკულუმს და არც სასწავლო გეგმას, „სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში კი წარმოდგენილი ცხრილი არ იძლევა ინფორმაციას თუ რომელ პროგრამას ეხება იგი ან რომელი კურსების სამიზნე ნიშნულებზეა ორიენტირებული. შესაბამისად, საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ, შემუშავდა მეთოდოლოგია, თუმცა არ მოხდა მეთოდოლოგიაში ჩამოთვლილი ეტაპების განხორციელება და შესაბამისი დოკუმენტების განახლება. ასევე, არ არის წარმოდგენილი თვითშეფასებაში ნახსენები აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ზემოხსენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად უნდა ხდებოდეს წელიწადში ორჯერ.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • დოკუმენტი „სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია"; • პროგრამის კურიკულუმი; • პროგრამის სასწავლო გეგმა.

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია III	სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ ერთვის „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებუსა და შეფასების წესი", წარმოდგენილია „სამაგისტრო ნაშრომის" სილაბუსი, რომელშიც დაწვრილებით გაწერილია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი შესაბამისი შეფასებით.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და

	ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლება ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში, ან რომელიმე არსებული კურსის გაძლიერებით.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სამეცნიერო კვლევის შესასწავლად შემუშავდა სპეციალური კურსი, კერძოდ, „დარგის კვლევის მეთოდები“, რომელსაც სტუდენტები პირველ სემესტრში ესწრებიან.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • პროგრამის სასწავლო გეგმა; • სილაბუსი „დარგის კვლევის მეთოდები“.

სტანდარტის დასახელება	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 - სტუდენტის შეფასება
რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მეთოდების და

	კრიტერიუმების დივერსიფიკაცია; ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ.** ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, დარჩა უნიფიცირებული, ერთგვაროვანი სახით. წარმოდგენილი სილაბუსენის მიხედვით შეფასების კომპონენტებია: აქტივობა (30%), შუალედური გამოცდა (30%), და დასკვნითი გამოცდა (40%). ყველა კურსში აქტივობის კომპონენტი თითქმის ერთნაირად არის ჩაშლილი (მხოლოდ მცირედი ვარიაციით კურსებს შორის) და სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული ცვლილებებიც, ფაქტიურად კვლავ მხოლოდ აქტივობის კომპონენტს შეეხო, კერძოდ, მოხდა 5 კურსის აქტივობის კომპონენტისა მცირე დივერსიფიკაცია, რაც აისახა შესაბამის სილაბუსებში („ენის სემიოტიკა“, „რუსული ფოლკლორის პოეტიკა და მისი ადგილი თანამედროვე ლიტერატურაში“, „რუსული ისტორიული პროზის პოეტიკა“, „რუსული ლიტერატურა ევროპულ ლიტერატურათა კონტექსტში“, „შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის თეორიის ზოგადი საკითხები“). სამწუხაროდ, მაგრამ მსგავსი უნიფიცირებული მიდგომა სრულყოფილად ვერ ასახავს კურსების შინაარს, სპეფიციკასა და კომპლექსურობას.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • წარმოდგენილი სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 - სტუდენტის შეფასება
რეკომენდაცია V	რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და კვლევითი უნარ-ჩვევების

	შეფასებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ნაშრომის სხვა ტექნიკურ მხარეებზე.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გადამუშავდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი და მეტი ყურადღება დაეთმო კვლევითი უნარ-ჩვევების შეფასებას.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2 - გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VI	მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარეაქტორებთან კვლევას წარმართავდა არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თვისობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე განახორციელა კვლევა დაინტერესებულ დამსაქმებლებთან.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან

	დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • დოკუმენტი „გარეაქტორთა თვისობრივი კვლევა“.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული 10 რჩევიდან გათვალისწინებულია მხოლოდ 3.

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1 - პროგრამის მიზნები
რჩევა I	სასურველია, მესამე მიზნის ფორმულირების დაზუსტება: ნაცვლად „ჩამოუყალიბოს რუსული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის, რუსულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი“ – „გააღრმავოს“, ვინაიდან ჩამოთვლილი უნარების ძირითადი ნაწილი ყალიბდება „რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის დონეზე.
შეფასება	**რჩევა გათვალისწინებულია.** პროგრამის კურიკულუმში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • პროგრამის კურიკულუმი.

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 –საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

რჩევა II	„რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად).
შეფასება	**რჩევა გათვალისწინებულია.** პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სასწავლო გეგმა.

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 - სასწავლო კურსი/საგანი
რჩევა III	სასურველია, სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სათაური არ იმეორებდეს საბაკალავრო პროგრამის საგნის სათაურებს, როგორც ამას აქვს ადგილი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში (რუსული ენა 1, რუსული ენა 2).
შეფასება	**რჩევა გათვალისწინებულია.** კონკრეტული კურსების სახელწოდებები შეიცვალა რჩევის შესაბამისად.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო

	პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში; • სასწავლო გეგმა და სილაბუსები.

თანდართული დოკუმენტაცია[15]

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, რუსული ენა და ლიტერატურა საგანმანათლებლო პროგრამისათვის #179186, გვ. 6, იხ. https://eqe.ge/ka/deqars/1026/show
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #179203, გვ. 77, იხ. https://eqe.ge/ka/deqars/1026/show
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, გვ. 152, იხ. https://eqe.ge/ka/deqars/1026/show
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, გვ. 11 (ფაილის სახელწოდება: ანგარიში-MA რუსული ენა და ლიტ..pdf)
- ამონაწერი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის 2023 წლის 1 მარტის სხდომის ოქმიდან №5, გვ. 3 (ფაილის სახელწოდება: სხდომის ოქმი - რეკომ. შესახებ 1.docx)
- ამონაწერი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის 2023 წლის 23 მარტის სხდომის ოქმიდან №6, გვ. 2 (ფაილის სახელწოდება: სხდომის ოქმი - ცვლილებების შესახებ 2.docx)
- ამონაწერი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის 2023 წლის 28 სექტემბრის სხდომის ოქმიდან №1, გვ. 1 (ფაილის სახელწოდება: სხდომის ოქმი - ცვლილებების შესახებ 3.docx)
- გარეაქტორთა თვისობრივი კვლევა, გვ. 6 (ფაილის სახელწოდება: გარეაქტორთა თვისობრივი კვლევა.pdf)
- კურიკულუმი, გვ. 4 (ფაილის სახელწოდება: კურიკულუმი-MA რუსული ენა და ლიტ..docx)
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რუსული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის პროფ. ვერა ოცხელის ანგარიში, გვ. 2 (ფაილის სახელწოდება: პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში.docx)
- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია, გვ. 3 (ფაილის სახელწოდება: სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია.pdf)
- სასწავლო გეგმა, გვ. 2 (ფაილის სახელწოდება: სასწავლო გეგმა-MA რუსული ენა და ლიტ..docx)
-

[15]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

- სილაბუსი "კომუნიკაციური პრაკტიკუმი რუსულ ენაში 1", გვ. 10 (ფაილის სახელწოდება: 1.2 კომუნიკაციური პრაკტიკუმი რუსულ ენაში 1.docx)
- სილაბუსი "რუსული ფოლკლორის პოეტიკა და მისი ადგილი თანამედროვე ლიტერატურაში", გვ. 10 (ფაილის სახელწოდება: 1.3 რუსული ფოლკ. პოეტიკა და მისი ადგილი თანამ.ლიტ..docx)
- სილაბუსი "დარგის კვლევის მეთოდები", გვ. 10 (ფაილის სახელწოდება: 1.5 დარგის კვლევის მეთოდები.docx)
- სილაბუსი "კომუნიკაციური პრაკტიკუმი რუსულ ენაში 2", გვ. 10 (ფაილის სახელწოდება: 1.6 კომუნიკაციური პრაკტიკუმი რუსულ ენაში 2.docx)
- სილაბუსი "ენის სემიოტიკა", გვ. 9 (ფაილის სახელწოდება: 1.7 ენის სემიოტიკა.docx)
- სილაბუსი "რუსული ლიტერატურა ევროპულ ლიტერატურათა კონტექსტში", გვ. 11 (1.9 რუსული ლიტ.ევროპულ ლიტერატურათა კონტეკსტში.docx)
- სილაბუსი "რუსული ისტორიული პროზის პოეტიკა", გვ. 10 (ფაილის სახელწოდება: 1.10 რუსული ისტორიული პროზის პოეტიკა.docx)
- სილაბუსი "შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის თეორიის ზოგადი საკითხები", გვ. 10 (ფაილის სახელწოდება: 1.15 შედარებ. ლიტ.მცოდ.თეორ..docx)
- სილაბუსი "სამაგისტრო ნაშრომი", გვ. 6 (ფაილის სახელწოდება: 1.16 სამაგისტრო ნაშრომი.doc)

ექსპერტის ხელმოწერა

Irina Lobzhanidze 01015001809

Digitally signed by Irina Lobzhanidze
Date: 2024.04.24 13:41:30